



3343/3-13/22 2 12042022

3343/3-13/22

12-04-2022

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ დავით დარჩიას

ბატონო დავით,

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არ არის იდენტიფიცირებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირთა რაოდენობა, შესაბამისად, არ არის გამოკვლეული მათი კონკრეტული საჭიროებები.

გარდა ამისა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი გაწერს მუნიციპალიტეტის ორგანოების/დაწესებულებების რიგ ვალდებულებებს. ამავე კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები/დაწესებულებები ვალდებული არიან, 2021 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება მათთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების მითითებით.

აღნიშნული საკითხები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე დაისვა ფრაქცია „ოზურგეთი - საქართველოსთვის“ მიერ არაერთ სხდომაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით:

- 1) კონკრეტულად რა ღონისძიებებს და კონკრეტულად რა ვადაში გეგმავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მის საზღვრებში მცხოვრებ შშმ პირთა რაოდენობის დადგენისა და მათი კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით?
- 2) დამტკიცა თუ არა მუნიციპალიტეტის საკრებულომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმა? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, დაგვიზუსტეთ, როდის გეგმავთ ამ დოკუმენტის შემუშავებასა და დამტკიცებას?
- 3) კონკრეტულად რა ღონისძიებები განახორციელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოებმა/დაწესებულებებმა 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით?

შეგახსენებთ, რომ წინამდებარე წერილის პასუხის გასაცემად საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თითოეული ორგანო, თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს,

ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს სრული წერილობითი პასუხი.

პატივისცემით,

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

პარლამენტის წევრი
ანა ბუჩუკური

